



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

ახადგუზრდებრს  
ბონუნრდობუ  
უდბრდობრრბრ  
პოლრბრბრს დუბბბბრს  
დუ ბუნბრსცრბრბრ  
პრრცბრბრ:  
რუ უნდბუთ ახადგუზრდბს?



**თავდასრულებული სამუშაო გეგმა:**

**ახსნა-განმარტების მონაწილეობა  
აღმართობის თვითმართობისთვის.**



პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა "ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში" პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო თემატური ჯგუფის - "ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში" მიერ. პროექტი ხორციელდება საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

**სამუშაო თემატური ჯგუფის წევრები:** ირინა მიქავა, დავით ლოგუა, თამარ ხომასურიძე, ბაკურ ხუბულავა, თამარ უგულავა, მიხაელის ირემაძე, თამარ ბარბაქაძე, ლევან ბუსქანძე, ინეზა შენგელია და მარიამ გოროზია

**ჯგუფის მენტორი:** ნინო ლოლაძე

**რედაქტორი:** მაკა თეთრაძე

## სარჩევი

მოკლე შინაარსი .....	4
შესავალი .....	5
მეთოდოლოგია .....	6
<b>თავი 1.</b> საქართველოში ახალგაზრდების საჭიროებების მიმოხილვა.....	7
ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში.....	7
<b>თავი 2.</b> ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა მუნიციპალიტეტში .....	8
ბაღდათი, იმერეთის რეგიონი.....	9
ონის მუნიციპალიტეტი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი.....	10
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი .....	12
ხობის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი.....	13
შეჯამება.....	15
<b>თავი 3.</b> გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების .....	16
ჩართულობის სამართლებრივი საფუძვლები და საერთაშორისო გამოცდილება	
პოლონეთის გამოცდილება .....	16
ახალგაზრდული წარმომადგენლობითი ორგანოები პოლონეთში.....	17
<b>თავი 4.</b> დასკვნა და რეკომენდაციები .....	18
რეკომენდაციები ადგილობრივ თვითმართველობას.....	19
გამოყენებული ლიტერატურა.....	20

## აოკდა შინაარსი

დღეს საქართველოში, როგორც განვითარებად და ახალგაზრდა დემოკრატიის მქონე ქვეყანაში, ახალგაზრდული პოლიტიკა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, რომ 2012, 2014, 2015 და 2020 წლებში შემუშავებულიყო და აღსრულებულიყო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, კონცეფცია და სამუშაო გეგმა, პოლიტიკა ისეთი წარმატებით ვერ განხორციელდა, როგორც მოსალოდნელი იყო. გამოწვევები სტრატეგიული მიმართულებებით რჩება გადაუჭრელ პრობლემად, რაც განპირობებულია პოლიტიკის მართვის, სამთავრობო უწყებათა შორის კოორდინაციის ნაკლებობის, ხშირი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებითა და ახალგაზრდული ორგანიზაციების დაბალი ჩართულობით.

ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ღერძს მონაწილეობის პრინციპის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადგილობრივი ხელისუფლებას აქვთ მანდატი და პასუხისმგებლობა, ჩართოს ახალგაზრდები გადამწყვეტილების მიღების პროცესში, მათ მიანდოს ინფორმაცია და გამართოს კონსულტაციები, რათა დაგეგმოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება ინკლუზიურობასა და თანასწორობის პრინციპებს. ასევე მუნიციპალიტეტების უნდა გააჩნდეთ ისეთი ახალგაზრდული პოლიტიკა, რომელიც პასუხობს მათ რეალურ საჭიროებებს და დაფუძნებულია ემპირიულ მონაცემებზე.

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ხარვეზებს, ამასთან ზუგდიდის, ხობის, ონისა და ბაღდათის მაგალითების შესწავლით, აჩვენებს იმ ძირითად გამოწვევებს, რომლის წინაშე დგანან ახალგაზრდები მონაწილეობის კუთხით. ბოლოს კი პოლონეთის, როგორც წარმატებული მაგალითის საფუძველზე, რეკომენდაციების სახით მოცემულია გზები ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობის გაზრდისა და ახალგაზრდების ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის ნახალისების მიზნით.

## შესავალი

ახალგაზრდობა საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. მათ უნდა ჰქონდეთ სწრაფვა, ხედვა და სურვილი, აქტიურად ჩაერთონ სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებების პროცესში. სწორედ ისინი არიან ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარანტი, რადგან ახალგაზრდული გაერთიანებები განვითარებულ სახელმწიფოებში დადებითი ცვლილებებისათვის მთავარი იმპულსის მიმცემები არიან. შესაბამისად, აუცილებელია, მათ ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოსახდენად რეალური ბერკეტები, აღჭურვილი იყვნენ საჭირო უნარებით, ინფორმაციითა და ცოდნით, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ თვითმმართველობასთან ეფექტური თანამშრომლობა. ახალგაზრდობმა კონსტრუქციულად და ადეკვატურად უნდა მიიტანონ თავიანთი სათქმელი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის უწყებებთან რეგიონებში დადებითი ცვლილებებისათვის.

მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდობმა აქტიურად რომ შეძლოს ჩართვა, მნიშვნელოვანია, გამოვლინდეს შესაბამისი წინააღობები. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეების აქტიური ჩართულობა განსაზღვრავს რეგიონის განვითარებას, არსებული გამოწვევების გადაჭრის გზების ძიებას და პრიორიტეტების სწორად დასახვას. ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა, რათა მათი ინტელექტუალური რესურსი, ინოვაციური მიდგომები და ხედვა გათვალისწინებული იყოს. ხოლო ადგილობრივმა მთავრობამ უნდა შეძლოს პროცესებში თითოეული მოქალაქის ჩართვა, რადგანაც ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

ახალგაზრდების განვითარებისა და რეალიზებისთვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად, მათი იდეებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად, საჭიროა პრობლემების გადაწყვეტისას მათი აქტიურობა და ჩართულობა, რაც სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან დაბალია, რასაც ადასტურებს ქვემოთ განხილული სხვადასხვა კვლევები.

პოლიტიკის დოკუმენტი გამოკვეთს იმ აქტუალურ საკითხებს, პრობლემებსა და გამოწვევებს, რომელთაც ახალგაზრდები აწყდებიან ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობის კუთხით. ასევე, დოკუმენტში განხილულია პოლონეთის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ახალგაზრდობის ჩართულობის გამოცდილება. დაბოლოს, წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს და გაზრდის ახალგაზრდების ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობის ხარისხს.

## ავთოლოგია

საკითხის კვლევის მიზნით, სამუშაო თემატურმა ჯგუფმა მოიძია საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევა. შესაბამისად, არსებული კვლევები სიღრმისეულად გაანალიზდა, რამაც კიდევ უფრო ცხადყო ახალგაზრდების საჭიროება და როლი ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში. საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის, ახალგაზრდების ჩართულობისა და მათ მიერ შემუშავებული პოლიტიკის კვლევა არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ინტერესის საგანია. წინამდებარე კვლევაში განხილულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის ინიციატივით ჩატარებული 2020 წლის კვლევა „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე“ და სსიპ ახალგაზრდული სააგენტოს მიერ ჩატარებული „ახალგაზრდობის კვლევა“.

გარდა ამისა, სამუშაო თემატურმა ჯგუფმა დამოუკიდებლად ჩატარა მცირე მასშტაბის თვისებრივი კვლევა ზუგდიდის, ხობის, ბაღდათისა და ონის მუნიციპალიტეტებში. გამოიკითხა 18-29 წლამდე ასაკის 30 მონაწილე ოთხივე სამიზნე მუნიციპალიტეტში, აქედან ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით 15 მონაწილე ონლაინ, ხოლო 15 მონაწილე – პირისპირ. ადგილობრივ მუნიციპალიტეტების შერჩევა განაპირობა იმან, რომ სამუშაო ჯგუფის წევრები აღნიშნული მუნიციპალიტეტების მცხოვრებლები არიან. 30 რესპონდენტიდან ზოგი იყო არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, ზოგი საჯარო მოხელე, სამოქალაქო აქტივისტი, სტუდენტი და მცირე ნაწილი კი მკვლევარი.

რადგან კვლევა მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში ჩატარდა და რესპონდენტთა მცირე რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა, კვლევა არ არის რეპრეზენტაციული.

## თავი 1.

# საქართველოში ახალგაზრდების საქმიანობის პირობები

### 1.1. ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში

ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. დღეის მდგომარეობით, საქართველო არ განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიგს, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ახალგაზრდების საკითხებს. მართალია, ამ მიმართულებით შეინიშნება მცირედი პოზიტიური ძვრები, თუმცა ახალგაზრდები მაინც არ არიან სათანადოდ ჩართულნი ადგილობრივ თვითმმართველობაში.

2019 წელს შექმნა სამთავრობო უწყება სსიპ - ახალგაზრდული სააგენტო, რომელიც თავისი მიზნებიდან გამომდინარე, ხელს უწყობს ქვეყანაში ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებას და განვითარებას. ამ მიზნით, ის საქართველოს მასშტაბით ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს. სააგენტო, დაგეგმილი სამწლიანი 2020-2022 წლის რეფორმის პირობებში, ცდილობს, განავითაროს ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება, ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის დანერგვა და განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ა.შ. სააგენტო ხელს უწყობს 11 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ახალგაზრდული მუშაკის გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას (ახალგაზრდობის სააგენტო, 2021).

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდების საქმიანობები განსხვავებულია რეგიონისა და ასაკის მიხედვით. ხშირად განსხვავდება მათი სურვილები, მიზნები და მიდგომები. შესაბამისად, თითოეული რეგიონის ახალგაზრდული პოლიტიკა ინდივიდუალურად უნდა დაიგეგმოს.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის ინიციატივით ჩატარებული კვლევის არეალი მოიცავს ქალაქ თბილისსა და იმერეთის რეგიონს (ესეზუა et al 2020). კვლევა გამოირჩევა იმით, რომ მიმოიხილავს, თუ როგორ ხდება ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაცია ადგილობრივ დონეზე. ამასთან, მისი მიზანია, დაადგინოს, არის თუ არა ახალგაზრდული პოლიტიკა ინკლუზიური და გულისხმობს თუ არა მხარეთა პრაქტიკულ ჩართულობას. ასევე, კვლევა აჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება ახალგაზრდული პოლიტიკა მუნიციპალიტეტებში. მიუხედავად იმისა, რომ ის არ ფარავს მთელ ქვეყანას, ის მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოებისა და შემუშავების კუთხით არსებული რეალობის შესახებ ზოგად სურათს ქმნის.

ძირითადი მიგნებები, რაც წარმოდგენილი კვლევის შედეგად გამოვლინდა, არის ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ნაკლები იციან ახალგაზრდების საქმიანობების შესახებ. უფრო მეტიც – არ სწავლობენ და ხშირ შემთხვევაში არ იყენებენ კვლევებს, რომლებიც ახალგაზრდულ საქმიანობებთან არის დაკავშირებული (ibid). ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ცალკეული აქტივობები არის თვითმიზნური და არ შეესაბამება იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც ახალგაზრდების წინაშე დგას. შედეგად, ახალგაზრდულ პროექტებზე დახარჯული თანხა თუ ბენეფიციარების რაოდენობა, იძლევა მხოლოდ ფაქტობრივ მონაცემებს და არაფერს ამბობს თვისებრივ შედეგებზე.

ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ნაწილში ურთიერთობები ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არის სიმბოლური ხასიათის და არა პრობლემის დაძლევაზე თუ შედეგზე ორიენტირებული. ახალგაზრდების ადგილობრივი პოლიტიკისა თუ აქტივობებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზად ასევე მოყვანილია ახალგაზრდებში არსებული უნდობლობა და პესიმიზმი. არ სჯერათ, რომ მათ მიერ ინიცირებული იდეები თუ საკითხები მხარდაჭერილი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან, რასაც ამყარებს ის ფისკალური წილი, რაც ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისთვის იხარჯება.

კვლევის შედეგად გამოვლენილი გარემოებები გვიჩვენებს იმ მძიმე რეალობას, რომელიც არსებობს ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოების კუთხით ქვეყანაში. მუნიციპალური ერთეულების მხრიდან, ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით წარმოებული აქტივობები არ არის თანმიმდევრული და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული.

ახალგაზრდობის სააგენტომ 2020 წელს რამდენიმე მუნიციპალიტეტში ჩაატარა კვლევა ახალგაზრდულ საჭიროებებზე. „ახალგაზრდობის კვლევაში“ გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა 14-29 წლის 4652 ახალგაზრდა. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარი (50%) საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობს, 42% -სოფელში, ხოლო გამოკითხულთა 8% - დაბის ტიპის დასახლებაში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 36% ფიქრობს, რომ მათი მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის, ხოლო 28%-ს ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. გამოკითხულთა 18% კი აღნიშნავს, რომ მონაწილეობა არ მიუღია და არც სმენია რაიმე ახალგაზრდული პროგრამების შესახებ.

თვითმმართველობის დონეზე ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიუღია მხოლოდ 8%-ს, ხოლო არ მიუღია მონაწილეობა 66%-ს. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთნენ, 35% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, 21%-ის თქმით კი, არავის მიუწვევია რაიმე სახის აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად. კვლევამ ასევე დაადგინა, რომ გამოკითხულთა სრული უმრავლესობა, 76%-ს საკუთარი ინიციატივით რაიმე სახის პროექტის განხორციელების მიზნით, არასოდეს მიუმართავს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის

კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ ახალგაზრდების გამოკითხულთა სრული უმრავლესობა არ არის დაინტერესებული პოლიტიკური პროცესებით, შესაბამისად, მათი ჩართულობა მუნიციპალურ დონეზე, რომელიც გამოიხატება ახალგაზრდული საქმიანობით, არის მინიმალური. კვლევის მიხედვით, თავის მხრივ მუნიციპალიტეტებიც არ აქტიურობენ ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემო შექმნან, რომელიც ხელს შეუწყობდა ინფორმაციის გავრცელებასა და მუნიციპალიტეტების რესურსებზე წვდომას.

მუნიციპალური ერთეული წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ რგოლს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების გააქტიურებას და მათ ჩართვას ადგილობრივ საქმიანობაში, რადგან თვითმმართველობა - ეს არის მათი უფლება გახადონ გარემო, სადაც ცხოვრობენ, მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული.

## **თავი 2.**

### **ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევა მუნიციპალიტეტში**

კვლევის სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების გამოწვევების ილუსტრაციის მიზნით, კონკრეტულად, თუ რა რეალობის წინაშე დგანან ისინი ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულობისა და გადანყვეტილების მიღების კუთხით, სამუშაო ჯგუფმა მცირე მასშტაბის თვისებრივი კვლევა ჩაატარა. პოლიტიკის დოკუმენტში არსებული გამოწვევებთან ერთად მიმოხილულია ბაღდათის, ონის, ხობისა და გუგდიდის მუნიციპალიტეტების გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა ახალგაზრდობის გადანყვეტილების პროცესში ჩართულობის კუთხით.

## 2.1. ბაღდათი, იზარათის რაიონი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელიც პასუხისმგებელია ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელების საკითხზე, სხვადასხვა საერთაშორისო დონორის დახმარებით შეიმუშავა 2019–2021 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც მათ აქვთ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებათ ხარისხიან განათლებაზე, მისდევენ ცხოვრების ჯანსაღ წესს და ცხოვრობენ უსაფრთხო გარემოში. ასევე, ის უზრუნველყოფს თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობას, ურთიერთთანამშრომლობისა და ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით შემუშავებული იყო რიგი მექანიზმები, რომლებიც ავალდებულებდა ადგილობრივ თვითმმართველობას პერიოდული ანგარიშის წარდგენას სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული გეგმის მიმდინარეობის შესახებ. ასევე, არსებული შედეგების მიხედვით, უნდა მომხდარიყო სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასება. სამუშაო ჯგუფის კვლევის ფარგლებში გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, შემოსხენებული არც ერთი პუნქტი არ არის შესრულებული. დღემდე კითხვითი ნიშნის ქვეშ დგას რამდენად შეძლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ 2021 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო, შეესწავლა ახალგაზრდობის უფლებები, საჭიროებები, გამოწვევები რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, აჩვენებს, რომ მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების მაჩვენებელი დაბალია (68%). ახალგაზრდები არ მონანილეობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში (93%); არ აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. თუმცა ბაღდათის მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონანილეობენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის. ასევე, ახალგაზრდების ყველაზე დიდ ნაწილს ბიბლიოთეკებზე/სამკითხველო კლუბებზე (46%) არ აქვს წვდომა. აღსანიშნავია, რომ არცერთ სერვისზე არ აქვს წვდომა ახალგაზრდების მესამედს (32%). ამავე კვლევის თანახმად, ყველაზე სერიოზულ გამოწვევას ბაღდათელი ახალგაზრდებისთვის დასაქმება წარმოადგენს.

შემოსხენებულიდან გამომდინარე შეიძლება ჩაითვალოს, რომ არ არის საკმარისად დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული ახალგაზრდების საბაზისო საჭიროებები, რაც მათ განათლების, ეკონომიკური სტაბილურობისა და სოციალური კუთხით დაცვას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ლოგიკურია მათი დაბალი ინტერესი სამოქალაქო ჩართულობისა თუ აქტივიზმის კუთხით. ასევე, მუნიციპალიტეტს აკლია ჩართულობის წახალისების ხელშეწყობისკენ მიმართული აქტივობები, რათა ახალგაზრდები ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამუშაო თემატური ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში იკვეთება, რომ ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია, იყვნენ პოლიტიკურად ჩართულნი და მეტიც, მათი დიდი ნაწილი აპოლიტიკურია.

ძალიან დიდ გამოწვევად რჩება მუნიციპალიტეტებისთვის, როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაცია, ახალგაზრდები ტოვებენ რეგიონებს და დიდ ქალაქში უკეთესი ცხოვრებისა და დასაქმების იმედით გადადიან. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტი მუშაობდა 2022 წლის სტრატეგიის დოკუმენტზე, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და გადაჭრილი, თუმცა კვლევის ფარგლებში გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ დღეის მდგომარეობით დოკუმენტზე მუშობა შეჩერდა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებობს ახალგაზრდული საბჭო, რომელიც წარმოადგენს მერიის სათათბირო ორგანოს. ასევე ფუნქციონირებს ახალგაზრდული კლუბები, რომლებიც შექმნილია ახალგაზრდული საბჭოს ეფექტური საქმიანობისთვის ხელშესაწყობად. შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალურ დონეზე არის შესაბამისი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ამ საკითხებზე, თუმცა მათი ეფექტურობა დაბალია. ახალგაზრდული საბჭო მიღებულ გადაწყვეტილებებს წარუდგენს მერს და ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელ სამსახურს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს აქტიურობით, ახალგაზრდების მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში განხორციელდა არაერთი კარგი პროექტი, მაგალითად, ახალგაზრდებისთვის „ინოვაციების ცენტრი“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის და სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგის“ მხარდაჭერით შექმნილი „GAME ზონა“. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავს რეგიონებში ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებასა და არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდებისთვის ძირითადი საკვანძო კომპეტენციების გადაცემას. მოეწყო გასვლითი სამუშაო შეხვედრა ქვეყნის გარეთ ბაღდათის მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის მონაწილეობით. უნდა აღინიშნოს, კურორტ საირმეში ახალგაზრდების დასაქმება და სოფლის მეურნეობაში ჩართული ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა.

გასულ წლებთან შედარებით, ადგილობრივი ხელისუფლება, გარკვეულწილად, აქტიურობს. თუმცა, საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდების საჭიროებების კვლევას; კონკრეტულად, ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ამისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად იგეგმებოდეს აქტივობები, პროექტები და ბიუჯეტი, ისინი უნდა იყვნენ ინფორმირებულნი იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც მისცემთ მათ მონაწილეობისა და გავლენის მოხდენის საშუალებას. ინტერვიუებით იკვთება, რომ მსგავსი პრაქტიკა არ ყოფილა გასულ წლებში, თუმცა წინა წლებთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია ახალგაზრდული მიმართულებით.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები სხვადასხვა კომპლექსური პრობლემის წინაშე დგანან, რომლის მოგვარების მანდატი და ვალდებულება ადგილობრივ თვითმმართველობას ენიჭება. პირველ რიგში, მუნიციპალიტეტში ჯერ არ აქვთ 2022 წლის განვითარების სტრატეგია, არ აწარმოებენ შესაბამის საჭიროების კვლევას სამიზნე აუდიტორიასთან, სანამ კონკრეტულ პროგრამას შესთავაზებენ ახალგაზრდებს. შედეგად ვიღებთ, ახალგაზრდების დაბალ ინტერესსა და მონაწილეობას, მათი დაბალი ინფორმირების დონეს.

## **2.2. ონის მუნიციპალიტეტი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**

ონი ერთ-ერთი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია, შესაბამისად, ახალგაზრდების საჭიროებები, კვლევაში მონაწილე სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, განსხვავდება თავისი სპეციფიკით. 2022 წლის 27 იანვარს, ონის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. სტრატეგიის არსებობა განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა განვითარდეს ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემა ადგილობრივ დონეზე. პოლიტიკის დოკუმენტი ახალგაზრდობის სააგენტოს დახმარებით შეიქმნა ონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით, მათ გამოწვევებზე საპასუხოდ. ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით<sup>1</sup>, გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 29% არის აქტიური ან ძალიან აქტიური, 44% – მეტნაკლებად, ხოლო 26% – საერთოდ არ არის აქტიური. საგულისხმოა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 43% ამბობს, რომ ისინი არ არიან დაინტერესებულნი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით და გასულ წელს რესპონდენტთა 69%-ს არ მიუღია მონაწილეობა ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

<sup>1</sup> ახალგაზრდობის სააგენტო: ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა ონი

ამავე კვლევის მიხედვით, კითხვაზე, თუ რატომ არ ინტერესდებიან ახალგაზრდები პოლიტიკური პროცესებით ონის მუნიციპალიტეტში, 44% მიიჩნევს, რომ ონის მუნიციპალიტეტის პოლიტიკა არ ითვალისწინებს ახალგაზრდებს, 25% ამბობს, რომ მათ არ იციან, რამდენად არიან გათვალისწინებულნი. ასევე, რესპონდენტების 35% არ ფლობს ინფორმაციას, თუ როგორ ჩაერთოს სამოქალაქო პროცესში, 22% კი აცხადებს, რომ არავის მიუწვევია ისინი მსგავს პროცესებში მონაწილეობის მისაღებად. როგორც ჩანს, უმეტესობა არც ჩართულა პოლიტიკურ პროცესებში და არც ინფორმაცია აქვს მსგავსი საკითხების შესახებ.

ახალგაზრდებმა მთავარ დაბრკოლებად სწორედ მათთვის განკუთვნილი სივრცეების არარსებობა და განათლების დაბალი ხელმისაწვდომობა დაასახელეს, განსაკუთრებით პროფესიული განვითარების მხრივ. კერძოდ, 71% მიიჩნევს, რომ საერთოდ არ არის მათთვის გამოყოფილი ფიზიკური სივრცე, 65% კი უკმაყოფილოა მუნიციპალიტეტში არსებული გასართობი და დასასვენებელი საშუალებებით. კვლევის მიხედვით, ონის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახალგაზრდობის კლუბისა (46%) და კინოთეატრის (31%) ფუნქციონირება სურთ. სივრცეების არარსებობას ადასტურებს ასევე ონის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელიც.

ახალგაზრდების მიგრაციის პრობლემა მწვავედ დგას მაღალმთიან რეგიონებში. გამოკითხული ახალგაზრდების 43%-ს არ სურს მუნიციპალიტეტის დატოვება, 34%-ს სურს, 24%-ს კი უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. თუ რატომ სურთ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის დატოვება, უმეტესობა მიზეზად ასახელებს დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, საკუთარი თავის რეალიზებას, განათლების შესაძლებლობას.

მოცემული სტატისტიკა აღწერს 2020 წლის კვლევის შედეგებს, 2022 წელს მდგომარეობა შეიძლება ითქვას, რომ ბევრად არის გაუმჯობესებული. სამწუხაროდ, არ არსებობს ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევა, თუმცა რამდენიმე მაგალითი ცხადყოფს ცვლილებებს: 2022 წლის მაისში შედგა ონის მუნიციპალიტეტის მერის შეხვედრა ახალგაზრდებთან. შეხვედრაზე ახალგაზრდებმა გამოკვეთეს თავიანთი საჭიროებები, მოახდინეს მათი პრიორიტეტიზაცია და შედეგად ოთხი საკითხი მერის მხარდაჭერით განხორციელდება. 2022 წელს ონის მუნიციპალიტეტში უკვე ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცე, რომელიც მერიისა და ახალგაზრდობის სააგენტოს თანამშრომლობით 2021 წლის მარტში გაიხსნა. ასევე კვლევის მომდევნო პერიოდში გარემონტდა სპორტკომპლექსი და მოეწყო რამდენიმე სტადიონი ონსა და მის სოფლებში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიამ მხარი დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაციის, რაჭის ახალგაზრდული ასამბლეის ინიციატივას „კინო ონში“, რომლის ფარგლებშიც კინოს სეანსები მოეწყობა ყოველკვირეულად.

2019-2021 წლებში მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა 15 ღონისძიება და პროექტი, რომელთა ჯამური ბიუჯეტი დაახლოებით 25 000 ლარს შეადგენდა. ღონისძიებები ძირითადად ხატვის, ფოლკლორის, სპორტის, ქორეოგრაფიის, ტურიზმის, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერას მოიაზრებდა. ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა რამდენიმე კვლევა. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული პროექტები სრულად ვერ პასუხობს ახალგაზრდების საჭიროებებს.

რაც შეეხება ადგილობრივ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ონის მუნიციპალიტეტში ასეთი მხოლოდ ერთი ორგანიზაცია – რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა მუშაობს, რომელიც ონის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან 70 ახალგაზრდას აერთიანებს. ასამბლეა ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას, რაჭაში განათლებასთან, ახალგაზრდობასთან, კულტურასთან, სპორტთან, ტურიზმთან, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული

საკითხების განვითარებას ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით. 2020 წლის დეკემბერში რაჭის ახალგაზრდული ასამბლეის ინიციატივით შეიქმნა ონის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომლის ფუნქცია არის ახალგაზრდებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის დამაკავშირებელი როლი შეასრულოს და მოახდინოს ახალგაზრდების საჭიროებების ადვოკატირება. მრჩეველთა საბჭო და ასამბლეა აქტიურად თანამშრომლობენ ონის მუნიციპალიტეტის მერიასთან და ამ ეტაპზე ორ პროექტს ახორციელებენ მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

მიუხედავად იმისა, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი პროექტი განხორციელდა უცხოელი დონორების მხარდაჭერით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა მოახდინონ საკუთარი ინტერესების ადგილობრივ დონეზე სრულფასოვანი რეალიზება. მწვავე პრობლემად რჩება ახალგაზრდების აპოლიტიკურობა, ინფორმირებულობის დაბალი დონე. ასევე, საჭიროებების კვლევა სტრატეგიის შემუშავების დროს, რათა განხორციელებული პროექტების პასუხობდნენ ახალგაზრდების რეალურ საჭიროებებს. გამოწვევას წარმოადგენს სტატისტიკის წარმოება ადგილობრივ დონეზე, დასაქმებისა და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობა და შიდა მიგრაცია.

### **2.3. უზგდიდის მუნიციპალიტეტი, საგვარდო-ზეგო სვანეთი**

ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სხვა ადგილობრივ მუნიციპალური ერთეულების მსგავსაგ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდულმა სააგენტომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის შეიმუშავა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, დღემდე არ მომხდარა მისი ადგილობრივ დონეზე სრულფასოვანი რეალიზაცია. 2019-2022 წლების გეგმით სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში აღნიშნულია, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნოს საჯარო ანგარიში სტრატეგიის განხორციელების შესახებ. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დღემდე მსგავსი ტიპის ანგარიში არ გამოუქვეყნებია.

აქვე საინტერესო იქნება 2020 წელს ახალგაზრდული სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ახალგაზრდების საჭიროებების ონლაინ კვლევის ანალიზი. მისი მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესების სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულების შესწავლა. გამოკითხულთა 37% მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები გათვალისწინებული არ არის, ხოლო ახალგაზრდების 23% არ იცის, რამდენად არის მათი ინტერესები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში გათვალისწინებული.

რეგიონიდან ახალგაზრდების გადინება ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ახალგაზრდების უმეტესობა სწავლის მიზნით მიდის თბილისში და შემდგომ ისინი რეგიონში დაბრუნებაზე თავს იკავებენ. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ადგილობრივ დონეზე არსებულ უნივერსიტეტს არ აქვს სპეციალიზაციის ფართო არჩევანი, როგორც ბაკალავრის, ისე მაგისტრატურის მიმართულებით, რომელიც ახალგაზრდების პროფესიული განვითარების სურვილს დააკმაყოფილებს. ასევე, ახალგაზრდები რეგიონში მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებენ სტაჟირების და დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობას. ახალგაზრდების ნაწილი, რომელიც ბრუნდება რეგიონში ხშირ შემთხვევაში იძულებულია წავიდეს საზღვრებს გარეთ დროებით სამუშაოზე.

გემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ რეგიონში არ არსებობს ინტელექტუალური და ფიზიკური გართობის ცენტრები, რომელიც მისცემს მათ თვითრეალიზაციის საშუალებას. არ არსებობს კინოთეატრი, ღამის კლუბები და სხვა ტიპის ახალგაზრდული სივრცეები, სადაც ახალგაზრდა შეძლებს თავისუფალი დრო სასარგებლოდ გამოიყენოს.

ახალგაზრდული სააგენტოს ეგიდით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრ- დული საკრებულო, რომელიც ძალიან მცირე დროით ფუნქციონირებდა. დღეის მდგომარეობით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული მიმართულებით არსებობს მერიის დაქვემდებარებული განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური, რომელიც არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული. აღნიშნული ორგანოს დებულების თანახმად, მუნიციპალიტეტი ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს წინადადებებისა და მუნიციპალურ პროგრამის მომზადებას; ასევე, ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლას და წინადადებათა შემუშავებას არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

არსებული მოცემულობა ცხადყოფს, თუ რამდენად არასახარბიელო მდგომარეობაა აქტიური ახალგაზრდული ცხოვრების კუთხით მუნიციპალიტეტში. სამუშაო თემატური ჯგუფის ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ახალგაზრდულ აქტივობებს არ ახლავს საფუძვლიანი კვლევა, რომელიც მათ მისცემს საშუალებას განსაზღვრონ ახალგაზრდული საჭიროებები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ მერიის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდული ღონისძიებები არ არის თანხვედრაში ახალგაზრდობის ინტერესებთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ არ ხდება სათანადოდ ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევა. შედეგად ვიღებთ მათ დაბალ მონაწილეობას და ინტერესს სამოქალაქო აქტივიზმისა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის კუთხით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას დასაქმებისა და ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობის პრობლემა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდობის შიდა თუ გარე მიგრაციას.

#### **2.4. ხობის მუნიციპალიტეტი, საპროგრამო-ზეპო სკანეთი**

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებასა და მის აღსრულებაზე პასუხისმგებელია. მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდული მიმართულებით ყოველწლიურად გამოყოფილი თანხები მზარდია, თუმცა რამდენად ეფექტურად იხარჯება აღნიშნული თანხები, ამის შესახებ ანგარიში აღნიშნულ სამსახურს ბოლო წლებში საზოგადოების, ახალგაზრდობისა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის არ წარუდგენია. მაგალითად, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ბიუჯეტი 2019 წელს შეადგენდა 7 000 ლარს, 2020 წელს 5 500 ლარს, ხოლო 2021 წელს – 15 500 ლარი. ხობის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული აქტივობების განხორციე- ლებაზე, ასევე, პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა)იპ კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებს. 2019 წელს ა(ა)იპ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მიერ ახალგაზრდული პროექტებისთვის დაიხარჯა 52 025 ლარი, 2020 წელს ა(ა)იპ-ის ახალგაზრდული აქტივობებისთვის გამოყოფილი იყო 62 150 ლარი, 2021 წელს – 75 633 ლარი, რომელიც, ცენტრის ინფორმაციით, ვერ აითვისეს ქვეყანაში არსებული COVID-19-ის რეგულაციებიდან გამომდინარე.

2022 წელს ახალგაზრდული აქტივობებისთვის გამოყოფილია 50 533 ლარი. წინა წლების ტენდენცია აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად განხორციელებული ახალგაზრდული აქტივობები უმეტესად მსგავსია და, ძირითადად, შემოიფარგლება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზებით. ხოლო შედეგზე ორიენტირებული, კონკრეტული უნარების განვითარებაზე მიმართული არაფორმალური განათლების პროგრამები არ ხორციელდება, რაც განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები ნაკლებად არიან ინფორმირებული ახალგაზრდობის რეალური ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ.

ასევე, სამუშაო თემატური ჯგუფის კვლევით გამოიკვეთა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები, ძირითადად, სკოლის ასაკის ახალგაზრდებზეა ორიენტირებული. 18-29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების პროგრამები, ფაქტობრივად, არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს ხობის მუნიციპალიტეტის მერიასა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ჩაერთო მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის სამწლიან რეფორმაში. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში დაიწყო მტკიცებულებებზე დამყარებული, ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა. გადამზადდა მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინატორი. ხოლო ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ მუშავდება და ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული მუშაკი და ხობის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო.

საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმისა, საკრებულოს სხდომებს ნაკლებად ესწრებიან ახალგაზრდები, ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსახლეობამ ერთი პეტიცია გაუგზავნა საკრებულოს, თუმცა არცერთი არ დაკმაყოფილებულა. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, მოქალაქეებს მონაწილეობის მიუხედავად, არ აძლევს საშუალებას, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ხობის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის არსებული მექანიზმების ანალიზმა ცხადყო, რომ ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი მონაწილეობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ძირითადად, მათ დიდ ნაწილს არ აქვს საკმარისი ცოდნა და საჭირო უნარები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვისათვის.

სამუშაო თემატური ჯგუფის კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ახალგაზრდების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, არ აქვს ინფორმაცია იმ პროექტების, აქტივობებისა და ჩართულობის იმ მექანიზმების შესახებ, რომელთაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს, რაც მიუთითებს, რომ არსებობს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის პრობლემა.

ხობის მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ახალგაზრდებთან აქტიური კომუნიკაციის კუთხით მუნიციპალიტეტში აქცენტი კეთდება მხოლოდ სტუდენტებზე, ისიც საარჩევნო პერიოდში, როცა ცდილობენ მათი ხმების მისაღებად საჭირო დაპირებების შემუშავებას. კვლევის პროცესში ახალგაზრდებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა, უნარები, კომპეტენცია და იციან, როგორ უნდა ჩაერთონ მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. ხობის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის, საჭირო კომპეტენციებისა და მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების სერვისების ნაკლებობით.

## შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო თემატური ჯგუფის კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტები გეოგრაფიულად სხვადასხვა რეგიონებში მდებარეობს, გამოწვევები, რომელთაც ახალგაზრდები აწყდებიან ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის კუთხით, საერთოა.

ბაღდათისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს ვერ კიდევ არ შეუმუშავებიათ 2022 წლის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მათ არა მარტო პრიორიტეტების დასახვასა და აქტივობების ინიცირებაში ეხმარებათ, არამედ ანგარიშვალდებულებას უწესებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს განახორციელონ ახალგაზრდული პოლიტიკა საჭიროებების შესაბამისად. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ხობისა და ონის მუნიციპალიტეტებს აქვთ მსგავსი სტრატეგიები, თუმცა არ მომხდარა მათი სრულად განხორციელება, რაც აღსრულების ნაწილში არსებულ გამოწვევაზე მიგვანიშნებს. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადგილობრივ მთავრობას არ წარუდგენია შუალედური ანგარიში, რომელიც სტრატეგიის პროგრესს აღწერს და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციას აწვდის ადგილობრივ ახალგაზრდებს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ არც ერთ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტი (ბაღდათი, ხობი, ზუგდიდი და ონი) არ აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების შესახებ, რომელიც მათ დაეხმარებათ თავიანთი განვითარების სტრატეგია სწორი გზით დასახონ. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მერიების ინიციატივით არ ხდება საჭიროების კვლევა, თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა უცხოური დონორების მხარდაჭერით და რესურსებით განხორციელებულ კვლევებს და ანალიზს. შედეგად ვიღებთ, ახალგაზრდების დაბალი ინფორმირებულობის დონეს ჩართულობის მექანიზმების შესახებ, მათ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, დემოტივირებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილი არ აქვთ.

ოთხივე მუნიციპალიტეტის პრობლემას წარმოადგენს შიდა თუ გარე შრომითი მიგრაცია, მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ ორ რეგიონში არსებობს უნივერსიტეტები და აქვთ საშუალება, განათლება ადგილზე მიიღონ. თუმცა, უნივერსიტეტები ვერ პასუხობენ ადგილობრივი ახალგაზრდების მოთხოვნებს და კარიერულ მიზნებს.

მუნიციპალიტეტების ძირითადი ბიუჯეტი იხარჯება გასართობ-რეკრეაციულ ღონისძიებებზე, ბუნებრივია, გარდა რესურსების სიმწირისა, მუნიციპალიტეტის ხედვა არ არის ორიენტირებული ახალგაზრდული სეგმენტის რეგიონში შენარჩუნებაზე და მათი ინტელექტუალური რესურსის ადგილობრივი თემების განვითარების მიზნით გამოყენებაზე.

მეორე მხრივ, ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ საშუალება სხვადასხვა რეგიონში არსებული პლატფორმების მეშვეობით ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მიიტანონ თავიანთი თემის სათქმელი იმ პოლიტიკურ აქტორებამდე, რომელთაც მათი მოგვარება ხელეწიფებათ. მონაწილეობითი დემოკრატია გულისხმობს მმართველობის ქვემოდან ზემოთ მიმართულების მიცემას, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს თავიანთი წვლილი შეიტანონ თემის და შედეგად ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში. კვლევის ფარგლებში გამოთხოვილი მონაცემებზე დაყრდნობითა და ადგილობრივ ახალგაზრდებთან ჩატარებული შეხვედრები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ახალგაზრდების სურვილები უგულებელყოფილია და სათანადოდ არ არის შეფასებული მათი რეალური საჭიროება, რომელსაც ემატება რესურსების სიმწირე.

### თავი 3.

## გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის საერთაშორისო სფეროები და საერთაშორისო გამოცდილება

საქართველოს მსგავსი, შედარებით ახალგაზრდა დემოკრატიული ქვეყნებისთვის, რომლებიც მხოლოდ ახლა ადგანან დემოკრატიზაციის გზას, მნიშვნელოვანია სხვა სახელმწიფოების წარმატებული გამოცდილების გაზიარება და დანერგვა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ქვეყნების სიტუაციის ანალიზი, რომლებსაც, საქართველოს მსგავსად, თან სდევს მძიმე სოციალისტური მემკვიდრეობა, მაგრამ შეძლეს ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესებში წარმატებით ჩართვა. ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა: ესტონეთი, ლიეტუვა თუ ლატვია, ამ კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციისა და ამ ინსტიტუტების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის გზით.

ამ მხრივ საინტერესოა პოლონეთის მაგალითის განხილვა, რომელმაც შეძლო ამ კუთხით არსებული გამოწვევების მეტნაკლებად წარმატებით დაძლევა. პოლონეთს არ გააჩნია ერთი ცენტრალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა, ინსტიტუტი ან სამინისტრო, რომელიც მუშაობს ახალგაზრდულ საკითხებზე ან პასუხისმგებელია მათი ინტერესების დაცვაზე. მიუხედავად ამისა, პოლონეთი საკმაოდ წარმატებით ავითარებს ახალგაზრდულ პოლიტიკას რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, რასაც მოწმობს მათ მიერ განხორციელებული არაერთი პროგრამა და მექანიზმები, რომლებიც ეტაპობრივად შემუშავდა.

გარდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროექტებისა, პოლონეთი ასევე აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირის აღმოსავლეთი პარტნიორობის წევრ ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის დანერგვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მეტ მონაწილეობას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი პროექტები, რომელთაც ახორციელებს პოლონეთის საელჩო თბილისში, პოლონეთის განათლების განვითარების ფონდი (FRSE), SALTO EECA, Erasmus+ და სხვა.

### 3.1 პოლონეთის გამოცდილება

პოლონეთში ჯერ კიდევ 2018 წელს ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგიის ძირითად ასპექტებზე მუშაობდა განათლების სამინისტროსთან დაკავშირებული პოლონეთის რესპუბლიკის ახალგაზრდული საბჭოს დამფუძნებელი ასოციაცია. უკვე 2019 წლის თებერვალში გამოქვეყნდა „2020-2030 წლების ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგიის შესახებ“. მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტი ახალგაზრდების მონაწილეობით მომზადდა და მასზე 600 ახალგაზრდა პოლონელი მუშაობდა (YouthWiki n.d.). სტრატეგიაში გამოყოფილია ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი ექვსი სტრატეგიულ სფერო: 1) შრომის ბაზარი; 2) სამოქალაქო აქტივობა; 3) სპორტი, ჯანმრთელობა, ტურიზმი; 4) ინოვაცია, ინტერნეტი, გაციფრულება; 5) კულტურა და 6) განათლება. ამის მსგავსად, საქართველოშიც შემუშავდა „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც დაამტკიცა საკანონმდებლო ორგანომ. თუმცა ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია აღნიშნული დოკუმენტის იმპლემენტაცია და მისი პრაქტიკაში ასახვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად მსგავსი სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტების არსებობისა, პოლონეთში ახალგაზრდული პოლიტიკა ხშირად რეგულირდება რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. უფრო კონკრეტულად კი ლოკალურად არსებობს ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ფოკუსირდება უშუალოდ ახალგაზრდებზე და წარმოდგენილია, როგორც პროვინციის, ასევე რაიონისა და კომუნის საფეხურზე. მსგავსი მიდგომის მაგალითებია: „ახალგაზრდა ვარშავა“, რომელიც ფუნქციონირებდა 2016-2020 წლებში, „ქალაქ პოზნანის ახალგაზრდების პოლიტიკა 2019-2025“, რომელიც დამტკიცდა 2018 წელს და ამავე წელს მიღებული „ლეზნოს ახალგაზრდული სტრატეგია“.

გარდა დოკუმენტებისა, პოლონეთის ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმომადგენლობისა და ჩართულობის ხარისხის გაზრდა. ქვეყნის თერთმეტმა პროვინციამ შექმნა ფორმალური სტრუქტურები, რომლებიც მხარს უჭერენ და წარმოადგენენ ახალგაზრდებს. ასეთი ორგანოებია: ახალგაზრდული პარლამენტი, ახალგაზრდული საბჭოები და ახალგაზრდული ფორუმები, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის ამ სეგმენტისთვის რელევანტური საკითხებისა და მათი საჭიროებების ადვოკატირებას და თანამშრომლობენ სხვადასხვა რეგიონის ანალოგიურ სტრუქტურებთან.

### **3.2. ახალგაზრდული წარმომადგენლობითი ორგანოები პოლონეთში**

2013-2015 წლებში, პოლონეთის ახალგაზრდული ორგანიზაციების საბჭოს მიენიჭა ორგანიზაციის სტატუსი, რის შედეგადაც ის უფლებამოსილი გახდა წარმოადგინოს პოლონელი ახალგაზრდები ევროკავშირის ახალგაზრდულ კონფერენციებსა და სხვა პლატფორმებზე. ქვეყანაში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური პარლამენტი, რომელიც ერთი შეხედვით მსგავსია ქართულ ანალოგთან. თუმცა, განსხვავებით ამ უკანასკნელისგან, პოლონეთის სტუდენტური პარლამენტის მიზანია ამ სეგმენტის პრობლემების სახელმწიფო ორგანოების წინაშე დაყენება. მისი წარმომადგენლები მონაწილეობენ საჯარო მმართველობის ორგანოების, პარლამენტისა და სენატის კომისიების მუშაობაში. თუმცა, ამ პროცესში ზემოაღნიშნულ წარმომადგენლობით ორგანოებს, ძირითადად, საკონსულტაციო ადვოკატირების ფუნქცია აქვს. ორგანოებში ჩართული ახალგაზრდები ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა, მათი სეგმენტისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობენ, ახორციელებენ ლოკალურ, რეგიონულ თუ საერთაშორისო პროექტებს და აგროვებენ მნიშვნელოვან გამოცდილებას მომავალში პოლიტიკურ პროცესებში ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე აქტიური ჩართულობისთვის.

პოლონეთის გამოცდილება კარგი მაგალითია იმისთვის, თუ როგორ უნდა მუშაობდეს და როგორ უნდა იყოს ჩართული სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი ახალგაზრდობის გაძლიერების კუთხით. პოლონეთში ახალგაზრდული პოლიტიკა რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე არამხოლოდ დაინტერესებული პირების, არამედ ხელისუფლების მრავალმხრივ ჩართულობას უზრუნველყოფს. ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტები, სამინისტროები, ახალგაზრდობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მკვლევრები და პოლიტიკოსები. პოლონეთის წარმატების მთავარი მიზეზი ძლიერ განვითარებული რეგიონული და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკაა, რომელიც რეგიონების საჭიროებების მიხედვით ვითარდება<sup>2</sup>.

პოლონეთის მსგავსად საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტებში არსებობს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოები, მაგრამ ამ უკანასკნელში მსგავსი ფორმალური ორგანოები ბევრად უფრო ცენტრალიზებულია და ფორმალურ ხასიათს ატარებს. საქართველოს უფრო მეტად ერთიანი მიდგომა აქვს ახალგაზრდობის საკითხების ადმინისტრირების მიმართ<sup>3</sup>. ხოლო ახალგაზრდობის ჩართულობის მექანიზმები ადგილობრივ თვითმმართველ თემებსა და ქალაქებში ფრაგმენტულად არის განვითარებული. სწორედ ამიტომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია პოლონეთის მსგავსი ქვეყნების მაგალითის გაზიარება და პრაქტიკაში დანერგვა, რაც დაეხმარება ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებასა და მხარდაჭერას, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე.

<sup>2</sup> YouthWiki. n.d. Youth Policy Governance in Poland. European Commission

<sup>3</sup> საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტო პირდაპირ ექვემდებარება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

## თავი 4.

### დასკვნა და რეკომენდაციები

---

საქართველოში ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობის დონეზე კვლავ გამონაკლისად რჩება. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და შემოთავაზებული ინიციატივები ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდების რეალურ და პრაქტიკულ მონაწილეობას, იმისთვის რომ სახელმწიფოს სტრატეგია ხარისხიანად და ეფექტურად შესრულდეს და გაიზარდოს ახალგაზრდების როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პოლიტიკის დოკუმენტში გაანალიზებულმა ახალგაზრდების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა წარმოაჩინა, რომ ის, რასაც ამ დროისთვის ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ცვლილებებსა და ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას. ზუგდიდში ჩატარებული კვლევების მაგალითით ჩანს, რომ ამჟამად ახალგაზრდების ნაკლებად მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროცესში, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილების მიღებისას მათი როლი მინიმალურია. ახალგაზრდები გარკვეულწილად თბილისში ახერხებენ თვითრეალიზაციასა და საკუთარი ადგილის დამკვიდრებას სტაჟირების პროგრამებისა და დასაქმების კუთხით, მაგრამ რეგიონებში ისინი აწყდებიან სხვადასხვა დაბრკოლებებს და იძულებულნი არიან საზღვარგარეთ დასაქმდნენ და დატოვონ თავიანი მუნიციპალიტეტები. სწორედ ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში ახალგაზრდების მონაწილეობა ნომინალურია. არსებობს როგორც ჩართულობის მექანიზმებისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის დეფიციტი, რაც ართულებს სამთავრობო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდებს შორის ეფექტიან, გრძელვადიან და შედეგზე ორიენტირებულ კომუნიკაციას და საერთო ხედვის ჩამოყალიბებას.

ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მოცემული რეკომენდაციები ემსახურება, ერთი მხრივ, ადგილობრივად არსებული გამონაკლისების ხაზგასმას და, მეორე მხრივ, ყურადღების მიპყრობას იმ პრობლემებისადმი, რომლებიც აფერხებს ახალგაზრდების ეფექტურ ჩართვას ადგილობრივ თვითმმართველობაში.

## რეკომენდაციები საქართველოს პოლიტიკას

1 ახალგაზრდულ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დაინიშნოს ახალგაზრდების შესახებ სტატისტიკის წარმოება და კვლევა, რათა ახალგაზრდული სტრატეგია და, შესაბამისად, აქტივობები დაფუძნებული იყოს მათ რეალურ საჭიროებებზე;

2 შემუშაონ სტრატეგიის დოკუმენტები, კონკრეტული მიზნებით, ამოცანებითა და ვადებით, რომლებიც ნათლად განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას და რეალურად ემსახურება ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერებას; რაც მთავარია, იყოს გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული;

3 გაძლიერდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში საკომიტეტო მოდელის ფარგლებში შექმნილი ახალგაზრდული საბჭოები, რომელთაც მიეცემა მეტი ძალაუფლება და იქნება მიუკერძოებელი ახალგაზრდული პოლიტიკის აღსრულებისა და შედეგების შეფასების კუთხით. აღნიშნული ერთეული მისცემს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიმართულებას, თუ რა კუთხით უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა უფრო კარგი შედეგის მისაღებად;

4 ევროპის საბჭოს თანამენეჯმენტის მართვის პრინციპის გათვალისწინებით, მჭიდროდ ითანამშრომლონ ახალგაზრდულმა საბჭოებმა მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წარმომადგენლებთან, რათა გადაწყვეტილების მიიღებოდეს ერთობლივად, უფროსებისა და ახალგაზრდების თანაბარი მონაწილეობით;

5 სხვადასხვა დაგეგმილი აქტივობებით მიეცეს ახალგაზრდებს საშუალება, მეტი ინფორმაცია მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე. შესაბამისად, უზრუნველყონ ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ადამიანური და ინტელექტუალური რესურსის გამოყენება და ადგილობრივ სტრუქტურებში ახალგაზრდების დასაქმების წილის გაზრდა;

6 ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა მიაწოდონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს დაგეგმილი ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამების, აქტივობების და სიახლეების შესახებ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში;

7 ახალგაზრდული საბჭოები, რომლებიც აერთიანებს ადგილობრივ აქტიურ ახალგაზრდებს, უნდა იქცნენ ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლისა და ბალანსის მექანიზმად, რაც ნიშნავს იმას, რომ საბჭოებმა უნდა შეამოწმონ მუნიციპალიტეტების მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის შესრულება და მუშაობის ხარისხი;

8 ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, დაეხმარონ წარმატებულ ახალგაზრდებს, რათა მათ უკეთ განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები; შესთავაზონ ფინანსური მხარდაჭერა დამსახურების მიხედვით იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ფინანსური რესურსი სჭირდებათ, მაგ.: რეპეტიტორთან მომზადებისათვის;

9 მუნიციპალიტეტებმა აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, ახალგაზრდებს შეუქმნას შესაბამისი სპორტული კომპლექსები და ინფრასტრუქტურა, სადაც ახალგაზრდები ფიზიკურად განვითარდებიან;

10 ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა პოპულარიზაცია უნდა გაუწიონ რეგიონებში ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობებს; სწორად დაანახონ ახალგაზრდებს სხვადასხვა სიკეთეების შეთავაზებით რეგიონებში მუშაობის უპირატესობა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს შესაბამისი ანაზღაურებით, ინფრასტრუქტურით, ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდითა და სხვა.

## გაოცხლებული ლიტერატურა

---

ახალგაზრდობის სააგენტო: ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა 2020-2021. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wk06aR> ბოლოს ნანახია 15.03.2022a

ახალგაზრდობის სააგენტო: ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა 2020, ონი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t17pUk> ბოლოს ნანახია 20.03.2022

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგია 2019-2021წელი

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა 2021. მომზადებულია კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“-ს მიერ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთვის; ხელმისაწვდომია: <https://drive.google.com/file/d/1EvN7DCvYlMnIfEn5WN72vs6o211EcxS0/view> ბოლოს ნანახია 25.04.2022

ესეპა ფლორა, ჩაჩანიძე სოფო, რუხაძე გიორგი, ფოცხვერაშვილი სოფიო 2020. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი. თბილისი

YouthWiki. n.d. Youth Policy in Poland. European Commission. ხელმისაწვდომია: <https://national-policies.eacea.ec.europa.eu/youthwiki/chapters/poland/overview> ბოლოს ნანახია 12.05.2022

YouthWiki. n.d. Youth Policy Governance in Poland. European Commission Error! Hyperlink reference not valid. ბოლოს ნანახია 5.04.2022

საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“: ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა ხობის მუნიციპალიტეტი, 2021. ხელმისაწვდომია: [https://drive.google.com/file/d/1IEq8GQIUwslNuxljYLwxgioDi-aZ-8Vsx/view?fbclid=IwAR3mVISZjU8iCLF03esreHybv0e6D73j7dc4J4k4oWgWc7NMRk23i3MvB\\_I](https://drive.google.com/file/d/1IEq8GQIUwslNuxljYLwxgioDi-aZ-8Vsx/view?fbclid=IwAR3mVISZjU8iCLF03esreHybv0e6D73j7dc4J4k4oWgWc7NMRk23i3MvB_I) ბოლოს ნანახია 7.05.2022

2021 წლის 20 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2017. თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდების კვლევა 2016, საქართველო, ხელმისაწვდომია: <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf> ბოლოს ნანახია 14.01.2022  
ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2020. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი. ხელმისაწვდომია: <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15958.pdf> ბოლოს ნანახია 23.01.2022



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

📍 პუშკინის ქ. 13, 0107 თბილისი, საქართველო

✉ [info@gip.ge](mailto:info@gip.ge) 🌐 [www.gip.ge](http://www.gip.ge)



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS